

შპს “ მეგალითი S “

2020 წლის ფინანსური ანგარიში

სარჩევი**ფურცელი**

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლებისა

და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება -----	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრისათვის-----	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრისათვის-----	5
1. ზოგადი ინფორმაცია-----	6
2. ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების ზოგადი საკითხები-----	7
3. განუსაზღვრელობის შეფასებისათვის გამოყენებული ძირითადი წყაროები.-----	10
4. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა-----	10
5. ამონაგების აღიარება ,მომსახურების რეალიზაციის აღრიცხვა . დარიცხული-----	11
6. სხვა შემოსავალი-----	11
7. მოგება დაბეგვრანდე-----	11
8. სავაჭრო , მომსახურებიდან გაწეული მოთხოვნები-----	12
9. სასაქონლო მატერიალური ფასეულებანი-----	12
10. ძირითადი საშუალებები-----	13
11. არამატერიალური აქტივი-----	13
12. ბანკის სესხები-----	13
13. სავაჭრო ვალდებულებები-----	13
14. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება- გასამრჯელოები ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის.-----	13
15. საწესდებო კაპიტალი-----	13
16. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი.-----	14
17. ფუნქციონირებადი საწარმო-----	14
18. სანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები-----	14
19. ფინანსური ანგარიშის დამტკიცება-----	14

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	შენიშვნა	2020 ლარი	2019 ლარი
ამონაგები	5	1053696	1109881
რეალიზებული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება		(457079)	(327189)
მოგება		596617	782692
სხვა შემოსავალი	6	64638	2956
კომერციული დანახარჯები		0	0
საპროცენტო შემოსავალი		3453	4099
ფინანსური დანახარჯები		0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები		(512766)	(692339)
საოპერაციო მოგება	7	151942	97408
მოგების გადასახადი		0	0
მიმდინარე წლის მოგება		151942	97408
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		860565	805832
დივიდენდი		65269	42675
გაუნაწილებელი მოგე წლის ბოლოს		947238	860565

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრისათვის

	შენიშვნები	2020	2019	2018
		ლარი	ლარი	ლარი
მიდინარე აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები		191029	328007	295656
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	373111	363931	81286
სასააქონლო მატერიალური ფასეულობანი	9	92241	35908	46148
სასესხო მოთხოვნები		0	0	0
სხვა მიდინარე აქტივები		3096	3096	3068
სულ მიდინარე აქტივები		659477	730942	426158
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	462367	292394	555893
არა მატერიალური აქტივები	11	1445	1776	1776
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		463812	294170	557669
სულ აქტივები		1123289	1025112	983824
ვალდებულება და საკუთარი კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	13	8273	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	14	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები		5666	2435	15883
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		0	0	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		0	0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		13939	2435	5883
საკუთარი კაპიტალი				
საწედბო კაპიტალი	15	111	111	111
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		667173	860565	525767
გადაფასების რეზერვი		8073	8073	8073

სხვა რეზერვები	433993	153928	433993
სულ საკუთარი კაპიტალი	1109350	1022677	967944
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1123289	1025112	983827

2020 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

საოპერაციო საქმიანობა	2020	2019
მყიდველისაგან მიღებული ფულადი სახსრები	1183768	810083
მომწოდებელზე და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(818114)	(599352)
სხვა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(297355)	(301945)
გადახდილი მოგების გადასახადი	0	0

წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან 68299 91214

საინვესტიციო საქმიანობა

ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისათვის	(175814)	(4624)
სესხის გაცემა და შემდგომში დაბრუნება	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	0	167470
მიღებული პროცენტი	3453	4099
მიღებული დივიდენდი	0	0
სხვა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0

წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან (172361) 166945

საფინანსო საქმიანობა

გაცემული დივიდენდი	(60076)	(40541)
სხვა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(1137)	0

წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან (61213) (10541)

ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან გასვლა წლის

განმავლობაში	(165275)	35190
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში	328007	295656
სავალუტო კურსის ეფექტი	28297	(2839)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	191029	328007

შპს მეგალითი S“-ის საადრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები

1, ზოგადი ინფორმაცია

შპს „მეგალითი S“ (შემდგომში კომპანია) სამეწარმეო რეესტრში ჩართვის თარიღია 2008 წლის 25 სექტემბერი, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერია B21087850, მისი საიდენტეფიკაციო ნომერია 216452041, იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ.რუსთავი, გამარჯვების გზატკეცილი №4

კომპანიის მესაკუთრე წილის მართველი არის იოსებ ჭელიძე 01024028065 100%-ი. საანგარიშო პერიოდში კომპანიის დირექტორია იოსებ ჭელიძე 01024028065.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მომსახურების გაწევა, კერძოდ: საცხოვრებელი და არა საცხოვრებელი შენობების სარემონტო სამუშაოები, ავტოგასამართი სადგურების სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები, სატვირთო ავტომობილების იჯარით გაცემა, BP-ის ნავთობ სადენებზე სხვადასხვა სახის მომსახურება.

საანგარიშო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი (2020 წელი), ფინანსური ანგარიშების სრული პაკეტი მოიცავს :

- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრისათვის
- პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებას.
- 2020 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება
- განმარტებით შენიშვნები

სინთეზური ანგარიშებისათვის გამოყენებულია ბუღალტრული პროგრამა „ორისი“, ფინანსურ ანგარიშგებას ზედამხედველობას უწევს კომპანიის დირექტორი.

კომპანია შემოსავლებს და ხარჯებს აღრიცხავს დარიცხვის მეთოდით.

დღგ-ს დარიცხვა

კომპანიის მიერ გაწეული მომსახურება საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით. საანგარიშო პერიოდში კომპანია სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე წარმოადგენდა შპს სანიტარის (204927240) კონტრაქტორს და BP-ის ქვეკონტრაქტორს. რის მიხედვითაც ბაქო-სუფსი და ბაქო-ჯეიჰანის ნავთობ სადენებზე ატარებდა სხვადასხვა მომსახურების სამუშაოებს.. აღნიშნული მომსახურება საერთაშორისო ხელშეკრულებით და საგადასახადო კოდექსის 172 მუხლი, მე-5 ნაწილის მიხედვით იბეგრება ნულოვანი

განაკვეთით. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული სამუშაოების ღირებულებამ შედგინა 102060 ლარი.

სალაროს ოპერაციების აღრიცხვა

მომსახურების მიღებასთან ანგარიშსწორება უმეტეს წილად ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

სალაროს მეურნეობის ორგანიზება ხდება კომპანიის მიერ დადგენილი განაწესით. სალაროს ოპერაციების დოკუმენტალური გაფორმება და მათი ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაში ასახვა დადგენილი წესით ხორციელდება შემოსავლისა და გასავლის სალაროს ორდერების სათანადო გაფორმებით.

ბანკის ოპერაციების აღრიცხვა

ბანკის ოპერაციების დამუშავება და პროგრამაში ასახვა წარმოებს ბანკის ამონაწერის მეშვეობით, რომელიც კონტროლდება მასში ასახული ოპერაციებზე შედგენილი პირველადი დოკუმენტების ანალიზით. საბუღალტრო პროგრამაში ასახული ბრუნვის მონაცემები ედრება ბანკის ამონაწერის მონაცემებს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებულია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აღრიცხვა

კომპანია გადასახადის დაბეგვრას და ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას ანხორციელებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით.

2. ფინანსური ანგარიშების მომზადების საფუძველი და სააღვრისხვო პოლიტიკა

შპს „მეგალითი S“-ის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისათვის განსაზღვრული 'ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. სააღვრისხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს ფაას მმს სტანდარტზე გადასვლის შემდეგ არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღვრისხვო პოლიტიკასგან, რომელსაც იყენებდა კომპანია წინა საანგარიშო პერიოდში. გამომდინარე აღნიშნულიდან ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებულ ოპერაციების მოვლენებსა და გარემოების შედეგად შესაბამისი კორექტირების აუცილებლობა არ წარმოქნილა. კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარული წელს პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომპანიის ფინანსური ანგარიშების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას („ფუნქციონალური ვალუტა“). ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშები წარმოდგენილია ლარში თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე, ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებისათვის შესაბამის ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოვლა შესაბამისი ტექნიკის მეშვეობით. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდაჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

ანგარიშები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით. ფინანსური ანგარიშგება ეხება ერთ საწარმოს.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2021 წლის 22 სექტემბერს.

კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში და აწარმოებს ადრიცხვას ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფინანსური ანგარიშების მშს ფასს შესაბამისობის მიზნით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების მოწოდებიდან, მაშინ აღიარდება როდესაც მყიდველს საქონელი და მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით,

მოგების გადასახადი

2017 წლის იანვრის თვიდან ძალაში შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილება მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილება ვრცელდება ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. ცვლილების თანახმად თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო განაწილებული მოგება დივიდენდის სახით 15% -ით დაიბეგრება. აღნიშნული ცვლილების გამო საანგარიშო პერიოდში არ წარმოშობილა ვალდებულებები კომპანიის ვალდებულებებში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება ფასს -ის მოთხოვნათა შესაბამისად, კერძოდ გაწეული მატერიალური დანახარჯი აღიარდება აქტივად თუ;

ა) მოსალოდნელია, რომ საწამო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს.

ბ) კომპანიისათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება მისი თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტებისადმი ფასს -ის მოთხოვნა კომპანიას დაცული აქვს სრულყოფილად. კერძოდ:

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასებისათვის შერჩეულია თვითღირებულების მოდელი.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის საციფოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედფის გამოყენებაში, აქტივების საციფოცხლო პერიოდი შემდეგ ნაირად ნასილდება:

შენობა-ნაგებობანი	25 წელი
მანქანა-დანადგარები	5 წლიდან -- 10 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა და სხვა ----	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებანი	10 წლიდან--15 წლამდე

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზაცია ხდება წფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც 10 წელს შეადგენს.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო ვადა(ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები) ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო თარიღისათვის კომპანია ანხორციელებს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების საციფოცხლო ვადის გადახედვას, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყონებლივ აღიარდება მოგება ში ან ზარალში. 2020 წელს კომპანიის ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ძირითადი საშუალებების საციფოცხლო ვადის შესწორება.

ანალოგიურად ყოველი საანგარიშო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის გაუფასურება. საწარმო რადგან სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს იყენებს ძირითადი საშუალებების სარემონტო-საექსპლოატაციო სამუშაოებისათვის საანგარიშო თარიღისათვის მათი გადახედვა და შეფასება არ ხდება.

იჯარა

ფინანსურ იჯარის ოპერაციები კომპანიას საანგარიშო პერიოდში არ უწარმოებია. კომპანია აწარმოებს მარტივ იჯარას. კერძოდ ახდენს ბალანსე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების ღროებით სარგებელში გადაცემას ფიზიკურ, ინდივიდუალურ მეწარმეებზე და სხვადასხვა კომპანიებზე სატრანსპორტო მომსახურების გასახორციელებლად.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია (მომსახურების მიწოდება), ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. საწარმოს ძირითადი შემოსავალს იღებს საცხოვრებელი და არა საცხოვრებელი შენობების სარემონტო სამუშაოებიდან. ასევე დამატებით შემოსავალს კომპანია იღებს

ისეთი შემოსავლებიდან, რომლებიც ძირითადი შემოსავლების თანმდევია. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება მიწოდებული მომსახურების და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულობის არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყონბლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდში თუ ექნება უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებს, ამ შემთხვევაში საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახულ სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში, საანგარიშო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები- გასამრჯელოები ხანგძლივი მუშაობის სტაჟისათვის.

საწარმოში არ არის დანერგილი გასამრჯელოები ხანგძლივი მუშაობის სტაჟისათვის. დანერგილია დასაქმებულებისათვის მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა ხდება სააღვრიცხო პერიოდის შემდგომი თორმეტი თვის განმავლობაში: ხელფასები, წლიური ფასიანი შვებულება, ე, წ. ბიულეტენი, პრემიები და ფულადი დახმარებები. პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის მიზნისათვის ინდეფიცირებულია პირდაპირი და არაპირდაპირი შრომითი ხარჯები. პირდაპირი ხარჯები ჩართულია თვითღირებულებაში, ხოლო არაპირდაპირი შრომითი დანახარჯები მიკუთვნებულია ადმინისტრაციულ დანახარჯებს და ჩამოწერილია მოგე-ზარალის ანგარიშზე.

3., განუსაზღვრელობის შეფასებისათვის გამოყენებული ძირითადი წყაროები.

შრომის ანაზღაურების აღრიცხვა

შრომის ანაზღაურება აღირიცხება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები“-ს მიხედვით. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება და შეფასდება ფასს მიხედვით დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტური ოდენობა აღიარდება, როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯებისა, რომელიც აღიარდება ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივების თვითღირებულებაში), რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ,

4, დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელ მოგების ნაშთს

შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტების გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე. საწარმოს საანგარიშო პერიოდში სესხი ან ოვერდრაფტი არ აუღია, რის გამოც ზემოთ აღნიშნული დაშვება დივიდენდის გაცემაზე არ იმოქმედებდა.

დივიდენდების აღიარება ვალდებულებად ,როდესაც დამტკიცდება მათი განაწილება.

5.ამონაგების აღიარება ,მომსახურების რეალიზაციის აღრიცხვა . დარიცხული დღგ-ს აღრიცხვა.

ამონაგების აღიარება საქონლის რეალიზაციიდან/ მომსახურებიდან ხდება მაშინ როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. როგორც წესი, აღიარების კრიტერიუმი გამოიყენება ცალ ცალკე (ხელშეკრულების მიხედვით) თვითეთლი ოპერაციის მიმართ. მომსახურებასთან დაკავშირებული ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშო თვის ბოლოს. ამონაგები აღიარება ხდება მაშინ როდესაც საწარმო მიიღებს მოცემული ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს. ამონაგების აღიარება ხდება მისაღები ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ამონაგების საიმედო შეფასების გაკეთება ხდება მას შემდეგ, როდესაც შეთანხმება მხარეების მიერ ხდება გაწეულ და მიღებულ მომსახურებასთან დაკავშირებით თვითეთლი მხარის იურიდიული ძალის მქონე უფლებებზე, ანაზღაურებაზე და ანგარიშსწორების წესებსა და პირობებზე. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. მოსახურების გაწევა აღიარდება ფასს მოთხოვნათა შესაბამისად.

შემნახველ ანაბარზე განთავსებული თანხიდან მიღებული პროცენტები აღრიცხულია ფასს შესაბამისად. შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დამატებული გადასახადის გამოკლებით, დღგ ღირებულების გადასახადის თანხა , რომელიც ექვემდებარება ბიუჯეტში გადახდას აისახება ფინანსური ანგარიშებში საგადასახადო აქტივის ან საგადასახადო ვალდებულების მუხლში

6, სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოცავს შესამცირებელი საშემოსავლო გადასახადს 31453 ლარს(საგადასახადო კოდექსი 309 მუხლი. ნაწილი 112), რომელიც კომპანიას უფლება მიეცა შეიმციროს (ბიუჯეტში არ შეიტანოს) დაქირავებულისათვის გაცემული 750 ლარამდე ხელფასიდან დაჯავებული და გადასახდელი საშემოსავლო გადასხადი. სავალუტო ოპერაციებიდან კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი 28213ლარი და სხვადასხვა შემოსავალი 4972 ლარი.

7. მოგება დაბეგვრამდე

მოგების განსაზღვრისას შემდეგი მუხლები აღიარებული იქნა ხარჯად (შემოსავლად)

2020 წ

2019 წ

ხარჯად აღიარებულია სასაქონლო-მატერიალური

ფასეულობების და მომსახურების თვითღირებულება (457079)

(327189)

დასაქმებულთა ანაზღაურება(არაპირდაპირ ხარჯი, ჩათვლილია ადმინისტრაციულ ხარჯში)	(349089)	(327837)
ცვეთა (ამორტიზაცია არაპირდაპირი ხარჯი ჩათვლილია ადმინისტრაციულ ხარჯში)	(67594)	(91205)
სხვა ადმინისტრაციული და საბუღალტრო ხარჯი	(96083)	(273297)

თვითღირებულების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომელიც უშუალოდ დაკავშირებული არის მიწოდებულ მომსახურებასთან, როგორიცაა პირდაპირი დანახარჯები იგი მოიცავს აგრეთვე სისტემატურად გასანიჭილებელ მუდმივ და ცვლად ზედნაღებ ხარჯებს.

8. სავაჭრო , მომსახურებიდან გაწეული მოთხოვნები

	საწყისი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
1410 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	363383	1229082	1249317	343149

9, სასაქონლო მატერიალური ფასეულებანი

	საწყისი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
1600 სასაქონლო მატერიალური მარაგი				
1610 საქონელი	0	661	661	0
1620 ნედლეული და მასალები	17133	101321	71161	47293
1628 სათადარიგო ნაწილები და მოწყობილობები	376	8651	8949	577
1626 ინსტრუმენტები და სამარჯვი მოწყობილობა	10233	4699	4072	10560
1627 სპეც ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და უსაფრთხოების საშუალებები	1894	5028	4224	2698
1628 სამერნეო საონელი	2865	1054	547	3372
1629 მატ. პასუხისმგებელ (პერსონალზე) პირებზე რიცხული სასაქონლო მარაგები	3407	2639	2614	3432
1630 დაუმთავრებელი წარმოება	0	489718	465709	24008

35908	613772	557439	92241
-------	--------	--------	-------

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებით. გამოყენებულია შეფასების საშუალო მეწონილი მეთოდი MIDL.

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები

2100 ძირითადი

საშუალებები

საწყისი ნაშთი	მიღება	გასვლა/ჩამოწერა	ცვეთა	ნაშთი
292394	237568	0	67594	462367

11. არამატერიალური აქტივი

2500- არამატერიალური აქტივები საწყისი ნაშთი მიღება გასვლა ცვეთა ნაშთი

1775	0	0	331	1444
------	---	---	-----	------

12. ბანკის სესხები

ნასესხები სახსრების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება.

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის , გადასახდელი ძირის თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით.

საწარმოს საანგარიშო პერიოდში კომპანიას გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასესხო ხელშეკრულებები გაფორმებული არ აქვს.

13. სავაჭრო ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრისათვის სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს 8274 ლარს.

14. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება- გასამრჯელოები ხანგძლივი მუშაობის სტაჟისათვის.

საწარმოს დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება არ ერიცხება

	საწყისი	ღებულები	კრედიტი	ნაშთი
დაქირავებულ (დასაქმებული) მომუშავეთა გასამრჯელოები	0	692746	692746	0

15. საწესდებო კაპიტალი

2020 წლის 31 დეკემბრისათვის საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 111 ლარს, რომელიც შედგება მესაკუთრისაგან შეტანილი ფულადი სახსრების შენატანებისაგან.

16. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი.

	<u>საწყისი</u>	<u>დებიტი</u>	<u>კრედიტი</u>	<u>ნაშთი</u>
1110 ფული საღაროში	856	27000	27820	36
1210 ფული ეროვნულ ვალუტაში ბანკში	136487	2196604	2281503	51588
1220 უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	190664	28818	80078	139404
---	327151	2225422	2361581	190992

17. ფუნქციონირებადი საწარმო

წინმდებარე ფინანსური ანგარიშები მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალისაციას და ვალდებულებების დაფარვას მიმდინარე საქმიანობის პირობებში. ამ გადაწყვეტილების გაკეთებისას კომპანიის მეპატრონებმა ვიხელმძღვანელეთ კომპანიის ფინანსური მდგომარეობით, რეალიზაციის შედეგებით, არსებული ფაქტიური მდგომარეობით და შემდგომი ოპერაციების ანალიზით. ჩვენს მიერ მოპოვებული იქნა საკმარისი და შესაფერიზი მტკიცებულობა, რომლის საფუძველზე დავასკვნით, რომ კომპანიას შეწევს უნარი განაგრძოს ფუნქციონირება.

18. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ საწარმოს ხელმძღვანელობა არ ელოდება ისეთ არამაკორექტირებელ მოვლენებს, რომელიც ზეგავლენას იქონიებს საწარმოს ეკონომიკურ საწმიანობაზე და ფინანსურ შედეგებზე. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ მოვლენები და ფინანსური შედეგები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსურ შედეგებზე, აისახება ფინანსურ ანგარიშებაში. კომპანიამ ბალანსის თარიღის შემდგომ გაუნაწილებელი მოგებიდან გასცა 161293 ლარი.

19. ფინანსური ანგარიშის დამტკიცება

ფინანსური ანგარიში დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2021 წლის 22 სექტემბერს.

შპს "მეგალითი S"-ის დირექტორი

ი. ჭელიძე

მთ. ბუღალტერი

ნატო ნონიკაშვილი

ნ. ნონიკაშვილი